

თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სილაბუსი
2011-2012 სასწავლო წელი

ფაკულტეტი: პედაგოგიური
კათედრა: პედაგოგიკა - მეთოდოლოგიისა და ფსიქოლოგიის
გაერთიანებული
სასწავლო კურსის დასახელება: კვლევის მეთოდები განათლებაში
სასწავლო კურსის კოდი: P.O2. p. 6
კრედიტების რაოდენობა: 10 კრედიტი
ECTS
სასწავლო კურსი სტატუსი: სავალდებულო მაგისტრატურის I კურსის
სტუდენტებისათვის

ლექტორი: 1. ასოც. პროფ: მოდებაძე ნინო, პედაგოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი
ტელ: 855 452794 e-mail: ninomodebadze@rambler.ru
სტუდენტებთან შეხვედრების განრიგი: ორშაბათი,
ხუთშაბათი 14-16 სთ

**სასწავლო კურსის
აღწერა:** სასწავლო კურსი ორსემესტრიანია და მაგისტრანტის
მიერ ამ კრედიტის მოსაპოვებლად დახარჯული დრო ასე
ნაწილდება: სულ 250 სთ. აქედან, 60 საკონტაქტო საათია,
რაც ნიშნავს მაგისტრანტთან კვირაში 2 საკონტაქტო
საათს. თავის მხრივ 15 სთ სალექციოა, 15სთ – ჯგუფთან
მუშაობის, დარჩენილი 190 სთ მაგისტრანტის
მიერ დამოუკიდებელი მუშაობის წილია
სასწავლო კურსში განიხილება პედაგოგიკაში ნაცადი,
აპრობირებული და მიღებული კვლევის ყველა მეთოდი,
რომლებიც გამოადგება მკვლევარს ამ მიმართულებით
სამაგისტრო ნაშრომის, თუ სხვა ნებისმიერი სამეცნიერო
ამოცანის შესრულებაში, აუცილებელი სამეცნიერო
კვლევების დაგეგმვასა და წარმართვაში.
აქედან გამომდინარე,

**სასწავლო კურსის
მიზანი და ამოცანები:** მაგისტრანტმა:

- შეისწავლოს ყველა ის ძირითადი პედაგოგიური კვლევის
მეთოდები, რომლებიც აპრობირებულია და დანერგილი
პედაგოგიკის მეცნიერებებში საუკუნეების მანძილზე და
გამოიყენება ძირითადი, კვლევის ჩატარების აუცილებლობის
მქონე სამეცნიერო ამოცანების გადასაწყვეტად;
- დაეუფლოს კონკრეტული მიზნის მქონე სამეცნიერო
კვლევის ჩატარების ტექნიკას(დაგეგმვის, განხორციელების,
შედეგების ანალიზის მეთოდოლოგია);

**სალექციო კურსზე
დაშვების წინაპირობა:** არა აქვს

სასწავლო კურსის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	მაგისტრანტი ფლობს ღრმა ცოდნას პედაგოგიური კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ	ფლობს საფუძვლიან ცოდნას პედაგოგიური კვლევის ისეთი ძირითადი მეთოდების და მათი შეფასების შესახებ, როგორებიცაა: გამოკითხვის მეთოდები, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და გამოყენება, სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, პედაგოგიური ექსპერიმენტი, თეორიული კვლევების მეთოდები, მოდელირება პედაგოგიურ კვლევაში და სხვა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი	შეუძლია პედაგოგიური კვლევის შედეგთა მეთოდოლოგიური დახასიათება და მათი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ამოცანებზე მორგება; ფლობს კონკრეტული მიზნის მქონე სამეცნიერო კვლევის ჩატარების ტექნიკას და შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში მისი დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი.
კომუნიკაციის უნარი	ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი	შეუძლიათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; წარმატებულად მუშაობენ ჯგუფებში, როგორც ლიდერი, ასევე წევრი. შეეძლება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, პრეზენტაციის მომზადება და წარმოდგენა.
სწავლის უნარი	შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება	შეუძლია განათლების კვლევების სფეროში სამეცნიერო სიახლეებისა და ახალი მეთოდოლოგიის მოძიება, შესწავლა ამ სფეროს უწყვეტი განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

ძირითადი

ლიტერატურა :

- 1) ქურდაძე ი. (2007). *პედაგოგიური კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“;
- 2) მაღაზონია შ. (2004). *პედაგოგიკა*, თბილისი: ქრონოგრაფი;
- 3) ასათიანი ა. (2008). *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა*. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- 4) ნათელა ვასაძე. „პედაგოგიკა“. თბილისი. 2000 წელი.

დამატებითი

ლიტერატურა:

- 1) *პედაგოგიკა* (1994). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

სტუდენტთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

შეფასების 100% – იანი სისტემის პარამეტრებია:

შუალედური შეფასება – მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერითი სამუშაო – 30% ($15\% \times 2$).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

4 ჯგუფური მეცადინეობა – 20% ($5\% \times 4$).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია – 10%,

რომელზედაც სტუდენტს საშუალება ეძლევა

ზეპირსიტყვიერად წარმოაჩინოს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას. პრეზენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა თვითოეული სტუდენტისათვის. ჩატარების განრიგი თემატიკის გათვალისწინებით და სტუდენტთან შეთანხმებით გაწერილ იქნება სემესტრის დასაწყისში დაახლოებით მეორე, მესამე ლექციის შემდეგ. პრეზენტაციის შეფასება მოხდება ცხრილში მოცემული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები	მაქსიმალური ქულა
შინაარსის ლოგიკურობა	3 ქულა
თემის გასაგებად წარმოდგენა	3 ქულა
თემის სრულად წარმოდგენა	2 ქულა
ვიზუალური საშუალებების გამოყენება	2 ქულა
სულ:	10 ქულა

შეგახსენებთ, რომ ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსიმუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. ($11ქ + 40ქ = 51ქ$).

შემაჯამებელი წერითი გამოცდა – გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, რომლის ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათია. საგამოცდო დავალება მოიცავს 10 საკითხს. აქედან 8 საკითხი მოიცავს საპროგრამო საკითხებს და თვითოეული საკითხი ფასდება მაქსიმალური 2,5 ქულით, ხოლო ბოლო ორი საკითხი იქნება სამეცნიერო კვლევის ჩატარების აუცილებლობის მქონე კონკრეტული სამეცნიერო ამოცანები, რომლის გადასაწყვეტად სტუდენტს ევალება კონკრეტული პედაგოგიური კვლევის მეთოდის მორგება და ჩატარების მეთოდიკის განსაზღვრა; აგრეთვე, შესაძლო შედეგების გამოკვეთა. თვითოეული სწორად გადაწყვეტილი საკითხი ფასდება 10 ქულით;

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51

ქულა). იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შეაღებდეს შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

სასწავლო კურსის სტრუქტურა:

ლექცია 1

პედაგოგიური კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები : პედაგოგიური კვლევის აგების ლოგიკა, პრობლემურ-გენეტიკური ანალიზი, როგორც ისტორიულ-პედაგოგიური კვლევის მეთოდი
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ: 8-28
დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ: 30-36

ლექცია 2

ფუნდამენტური, გამოყენებითი და დასამუშავებელი პედაგოგიურ კვლევებში
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ: 28-45 ; 4. გვ. 50
დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ: 36-38

ლექცია 3

კვლევის მეთოდოლოგიური პარამეტრები.
ძირითადი ლიტერატურა: 4. გვ. 51 -56

ლექცია 4

კვლევის ეტაპები –ემპირიული ჰიპოთეზური, , ექსპერიმენტულ-თეორიული და პროგნოსტიკული.
ძირითადი ლიტერატურა: 4. გვ. 52 -56

ლექცია №5 – 6

პედაგოგიური კვლევის მეთოდები : ემპირიული პედაგოგიური კვლევების მეთოდები. ლიტერატურისა და სხვა წყაროების შესწავლა; დაკვირვება
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ: 45-54
დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ. 35-37

ლექცია №7

დაკვირვება; თვითდაკვირვება და სხვათა დაკვირვება.
ლიტერატურა: 5. გვ. 18-19

ლექცია №8

ზოგადი პედაგოგიის კვლევის წყაროები:
პედაგოგიის კლასიკოსთა მემკვიდრეობა. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და გამოყენება
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 56–66 ; 3. გვ. 36
დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ. 36-37. 39-40

ლექცია №9

მოსწავლეთა ნაწერებისა და გრაფიკული ნაშრომების შესწავლა
ძირითადი ლიტერატურა: 4. გვ. 53

ლექცია №10

პედაგოგიური დოკუმენტები.
ძირითადი ლიტერატურა : 3. გვ. 37

ლექცია №11

მხატვრული ლიტერატურა, ფოლკლორი და ისტორია
ძირითადი ლიტერატურა : 3. გვ. 38

ლექცია №13

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში გამოყენებული პედაგოგიური კვლევის
ძირითადი მეთოდები : ანკეტირება. სოციომეტრული კვლევა

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 54-56

დამატებითი ლიტერატურა : 2. გვ. 39-40

ლექცია №12

სოციომეტრული კვლევა.

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 56

ლექცია №13 – 14

საუბარი; ინტერვიუ

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 56-58

დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ. 38-40

ლექცია №15 –16

ტესტირება ; პილოტირება

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 58-64

დამატებითი ლიტერატურა : 2. გვ. 40-41

ლექცია №17

სტატისტიკური მეთოდების გამოყენება პედაგოგიურ კვლევაში

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 69-74 ;

დამატებითი ლიტერატურა : 2. გვ. 41

ლექცია №18-19

თეორიული კვლევის მეთოდები

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 74-79

დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ. 35-36

ლექცია №20

პედაგოგიური ექსპერიმენტი. ბუნებრივი და ხელოვნური ექსპერიმენტი.

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 79–83

დამატებითი ლიტერატურა: 2. გვ. 38-39

ლექცია №21 –22

მოდელირება პედაგოგიურ კვლევაში

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 83-92

ლექცია №23

მოთხოვნები კვლევითი უნარებისადმი და მათი შეფასება:

პედაგოგიური კვლევის სუბიექტი, საგანი და თემა; კვლევის მიზნები და ამოცანები

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 92-102

ლექცია №24

ჰიპოთეზა

ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 103-110

ლექცია №25–26

კვლევის სიახლის ფორმულირება; არგუმენტაციის პრობლემა გამოყენებით
პედაგოგიურ კვლევაში
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 103-114

ლექცია №27

პედაგოგიური კვლევის შედეგთა მეთოდოლოგიური დახასიათება
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 114-123

ლექცია №28

პედაგოგიური კვლევის შედეგთა ანალიზი
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 124

ლექცია №29–30

შემაჯამებელი ლექცია

წარმატებას გისურვებთ!